

ბანკის ვებგვერდზე <https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/pos-terminals> განთავსებული “პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების” 1.3. პუნქტის შესაბამისად, სს “თიბისი ბანკი” გათვალისწინებულ “პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო დებულებებში” (შემდგომში “საერთო დებულებები”) შემდეგი ცვლილების / დამატების შეტანას:

- საერთო დებულებებს დამატოს დანართი #1 შემდეგი რედაქციით:

„დანართი #1

წინამდებარე დანართით რეგულირდება კომპანიასა და ბანკს შორის ურთიერთობა იმ შემთხვევ(ებ)ისთვის, როდესაც კომპანიისთვის მომსახურების საფასურის გადახდისას (პოს ტერმინალით ანგარიშსწორების განხორციელებისას) კლიენტი, მისი სურვილით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადაიხდის დამატებით თანხას (შემდგომ „თიფის თანხა“) ნებისმიერი საგადახდო ინსტრუმენტით / უნაღდო ანგარიშსწორების გზით, მომსახურების გაწევის პროცესში კომპანიის თანამშრომლ(ებ)ის ჩართულობის სანაცვლოდ.

1. თიფის თანხის გადახდის პროცესი წარიმართება შემდეგი სქემის შესაბამისად:
 - 1.1. კომპანიის შესაბამისი განაცხადის / მოთხოვნის საფუძველზე, ბანკი კომპანიას გაუაქტიურებს თიფის თანხის გადახდის ფუნქციონალს, რაც შესაძლებელს ხდის:
 - 1.1.1. კლიენტმა, კომპანიის თანამშრომლისთვის თიფის თანხის დატოვების სურვილის არსებობისას, კომპანიისგან მიღებული მომსახურების საფასურის უნაღდო ანგარიშსწორებით (პოს ტერმინალით) გადახდისას, დაადასტუროს პოს ტერმინალზე თიფის თანხის დატოვებასთან დაკავშირებით, რის შემდგომ კლიენტი პოს ტერმინალზე თავად აირჩევს / აკრეფს თიფის თანხის ოდენობას და დაადასტურებს როგორც მომსახურების საფასურის, ასევე თიფის თანხის გადახდას;
 - 1.2. კლიენტის მიერ მომსახურების საფასურთან ერთად თიფის თანხის უნაღდო ანგარიშსწორებით (პოს ტერმინალით) გადახდის შემთხვევაში, სავაჭრო ქვითარზე აისახება მომსახურებისა და თიფის თანხა როგორც ჯამურად, ასევე ცალ-ცალკე.
 - 1.3. მომსახურების და თიფის თანხის ჯამურ ოდენობას გამოაკლდება ბანკის მომსახურების საკომისიო დადგენილი / ბანკსა და კომპანიას შორის შეთანხმებული ტარიფის შესაბამისად, ხოლო დარჩენილ თანხას, დანიშნულების მიხედვით (მომსახურების / თიფის თანხა), პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო დებულებების 2.1.1.2. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის დაცვით, ბანკი ასახავს კომპანიის იმ ანგარიშ(ებ)ზე, რომელიც მითითებული აქვს კომპანიას შესაბამის განაცხადში / მოთხოვნაში მომსახურების / თიფის თანხ(ებ)ის განთავსებისთვის.
2. თიფის თანხის გადახდის ფუნქციონალით სარგებლობის წესების / პირობების დეტალური აღწერა განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე: <https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/pos-terminals>.
3. ბანკი აცხადებს და კომპანია უპირობოდ ადასტურებს, რომ ბანკს არ ეკისრება (სრულად იხსნის პასუხისმგებლობას) თიფის თანხის განთავსების ანგარიშიდან კომპანიის მიერ კომპანიის თანამშრომლისთვის მაღლობის თანხის გადარიცხვის და ხსენებული თანხის საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად დაბეგრის (ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში) გაკონტროლების ვალდებულება. ამასთან, კომპანია ვალდებულია არ განახორციელოს იმგვარი ქმედებები, რაც დაკავშირებული იქნება საგადასახადო თაღლითობასთან / გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობასთან (პირდაპირ ან ირიბად) ნებისმიერი ფორმით.
4. კომპანიას უფლება აქვს მოითხოვოს თიფის თანხის გადახდის ფუნქციონალის გათიშვა, გათიშვის თაობაზე ბანკისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით (ბანკსა და კომპანიას შორის დადებული / კომპანიის მიერ დადასტურებული (მათ შორის ელექტრონული ფორმით) პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით შეტყობინებისთვის განსაზღვრული ნებისმიერი ფორმით). ამგვარი შეტყობინების მიღების დღიდან ბანკი უზრუნველყოფს თიფის თანხის გადახდის ფუნქციონალის გათიშვას.
5. წინამდებარე დანართი წარმოადგენს ბანკსა და კომპანიას შორის დადებული / კომპანიის მიერ დადასტურებული (მათ შორის ელექტრონული ფორმით) პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს და მასზე ვრცელდება ხსენებული ხელშეკრულების ყველა პირობა / მუხლი / პუნქტი / დებულება.“